

ქეთევან ჯაში

ქართული ზღაპრების ფრანგულად თარგმნის ლინგვისტური და კულტურული ასპექტები

ლიტერატურული ტექსტის თარგმნა ერთდროულად ითხოვს ენების განსხვავებული ტექნიკური ასპექტების ცოდნას, მნიშვნელოვანი სტილისტური თვისებებისა და ძალზე ზოგადი კულტურის ფლობას. თარგმნამ ისეთივე ემოცია უნდა გამოიწვიოს, რაც ორიგინალმა. ზღაპრის სამყარო სრულიად დამოუკიდებელი სამყაროა, რომელიც რეალურ სამყაროსთან ანგარიშვალდებული არ არის. ზღაპრის თარგმნა ნიშნავს მის სხვა ენაზე ხელახალ გამოხატვას, რომელიც ინარჩუნებს შეძლებისდაგვარად, მის შინაარსსა და შედეგს. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ თუ რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ ქართული ზღაპრების ფრანგულად თარგმნის დროს. ზღაპრების თარგმნა, საშუალებას იძლევა შევამჩნიოთ მხოლოდ მოყოლილი ამბებისა და აღწერილი სამყაროს თავისებურებები და ასევე ნაწერის თავისებურება, რომლის რეალიზება მხოლოდ გაუთვალსიწინებელი, გარეგანი და აშკარა შთაბეჭდილებაა, რომელიც გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რასაც ფრანგულ და ქართულ ენებსა და კულტურებს შორის განსხვავება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, ინტერკულტურული მიზნები, პერსონაჟთა დისკურსი, ორაზროვნება, კონოტაცია

შესავალი

ზღაპარი, ხალხური სიბრძნის ყველაზე პოპულარული ჟანრია. ის დიდი ხნის წინ ჩვენი წინაპრების მიერ შეიქმნა. იმ დროს, როდესაც არ იცოდნენ წერა, ზღაპრებს ზეპირად თაობიდან თაობას გადასცემდნენ. საუკუნეების მანძილზე, ზღაპრები ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში ვრცელდებოდა.

ზღაპრებს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ, სანამ დამწერლობა შეიქმნებოდა და მის შემდეგაც. ის ლიტერატურასთან ერთად ვრცელდებოდა, რადგანაც მას თავისი ფუნქცია და ტრადიციები ჰქონდა. სწორედ ასე მოაღწიეს ზღაპრებმა ჩვენამდე. რა თქმა უნდა უნდა უწინდელი ფორმის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ის ცივილიზებული საზოგადოების ნაწილი იყო და მასთან ერთად ვითარდებოდა. ზღაპრების შექმნის მიზეზი და იდეა საზოგადოებასთან ერთად შეიცვალა, ფორმა დაიხვეწა და შემდეგ გავრცელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და შეიქმნა ზეპირმეტყველების დამოუკიდებელი ჟანრი.

ქართულ ძველ წყაროებში უკვე საუბრობდნენ ზღაპარზე. ჩვენი წინაპრები ზღაპრებს განიხილავდნენ როგორც მოგონილ ამბავს. ზღაპარს იგივე მნიშვნელობა აქვს როგორც წინათ ჰქონდა. ის ყველაზე მოძრავი ჟანრია. მისი

გადატანა ერთი რეგიონიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორეში ადვილად ხდებოდა.

ქვეყნებს შორის ყოველთვის არსებობდა სავაჭრო, ტურისტული, რელიგიური ურთიერთობები. დამპყრობლები, დიდხანს რჩებოდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე და ამით ხელს უწყობდნენ მსგავსი შინაარსის მქონე ზღაპრების შექმნას. ამიტომ ფიქრობენ, რომ ზღაპარი საერთაშორისო ჟანრია. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ეროვნული ზღაპრები. ზღაპრების გაცვლა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყოველ ხალხს მეტ-ნაკლები ოდენობით უნდა ჰქონდეს ისინი შემონახული. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხის განვითარების მსგავსების შედეგად შეიქმნა მსგავსი შინაარსის მქონე ზღაპრები.

ქართულ ზღაპარში კარგად ჩანს ჩვენი ხალხის უიღბლო წარსული, მისი პოლიტიკური და ეროვნული დეფიციტი, მისი გმირული ბრძოლა ჩაგვრისა და უსამართლობის, სოციალური უთანასწორობისა და შიმშილის წინააღმდეგ. ქართული ზღაპრები ჩვენი ხალხის წარსულს ასახავს.

საქართველოში, ზღაპრები ყოველთვის ძალზე პოპულარული იყო. მათ ყოველთვის პატივს სცემდნენ, როგორც ხალხის სულიერი აღზრდის მძლავრ ინსტრუმენტს. ზღაპრის ეს მძლავრი ფუნქცია აღიარებულია. ზღაპარი მუდამ თესდა იმედსა და სულიერ ძალას, სიხარულსა და ენერგიას. ზღაპრები საკმაოდ იყო გავრცელებული საქართველოში, თითოეულ რეგიონსა და ყველა სოციალურ ფენაში.

ქართული ზღაპრების ადრე ჩაწერილ ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისე კი მათი კვალი საკმაოდ ჩანს ძველ ქართულ მწერლობაში. ზღაპრების ყველაზე ძველი ხელნაწერი მე-17-ე საუკუნიდან მოგვეპოვება. შემდეგ კი რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი მე-19-ე საუკუნის დასაწყისიდან არის ცნობილი.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას როგორც დიდ ეროვნულ საგანძურს, სერიოზული ყურადღება პირველად სამოციანელებმა მიაქციეს. ჩვენი ცნობილი კლასიკოსები ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი თვითონ იყვნენ პირველი ინიციატორები და ზეპირსიტყვიერი მასალების ჩამწერები. ამ საქმეში ენერგიულად ჩაებნენ ცნობილი მოღვაწენი და მეცნიერნი.

XIX ს. მეორე ნახევარში დაიწყო ზეპირსიტყვიერი მასალების ჟურნალ-გაზეთებში სისტემატური გამოქვეყნება. ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს ხშირად აქვეყნებდა „ივერია“, „დროება“, „მოამბე“, „კვალი“ და სხვა.

პერიოდულ პრესაში თუ ადვილად ხერხდებოდა მცირე მოცულობის პოეტური ნიმუშების გამოქვეყნება, ზღაპრებზე ამას ვერ ვიტყვით. თვითმპყრობელობის ბატონობის მძიმე პერიოდში ზღაპრების არა თუ გამოცემა, არამედ ჩაწერაც კი ჭირდა. მრავალი შემკრები წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ზღაპრების სრული სახით დაბეჭვდასა და მკითხველისათვის მიწოდებას. ბევრი მათგანი სიცოცხლეში ამ კეთილშობილური სურვილების განხორციელებას ვერც კი

ელირსა. მაგრამ მაინც დაგვრჩა ზღაპრების რამდენიმე მნიშვნელოვანი კრებული, რომელთა გამოცემაც დიდი გაჭირვებით მოუხერხებიათ.

1891 წელს ზღაპრების მცირე კრებული გამოუცია ლადო აღნიაშვილს. 1897 წელს აკაკი წერეთელმა თავის „კრებულში“ დაიწყო ქართული ზღაპრების სისტემატურად ბეჭდვა. 1901-1903 წლებში „ქართველ ქალთა წრესაც“ დაუბეჭდავს ზღაპრების ორი კრებული. 1909 წელს თ. რაზიკაშვილმა გამოსცა ქართლ-კახეთსა და ფშავში ჩაწერილი ზღაპრების ორი კრებული.

ქართული ზღაპრები აგრეთვე საზოგადოებათა კრებულებშიც ქვეყნდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც შესაკრები და გამოსაცემი რჩებოდა¹.

არსებობს ზღაპრების კლასიფიკაციის რამდენიმე სახე. ქართული ზღაპრების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც პროფესორ მ. ჩიქოვანს ეკუთვნის, მიღებულია შემდეგი ჯგუფები: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური, ანუ ჯადოსნური ზღაპრები, 3. საყოფიერო-ნოველისტური ზღაპრები, 4. საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები და 6. ანეკდოტები.

ფრანგულად თარგმნის სირთულეები

ჩვენ ვთარგმნეთ და გავანალიზეთ ოთხი ქართული ზღაპარი, რომლის ფრანგული თარგმანი დაიბეჭდა ირანულ-ფრანგულ საერთაშორიო ჟურნალში: „Le Linguiste“, 2013 წლის ზაფხულში, N5, გვ. 35-44. ეს ზღაპრებია: „ნაცარქექია“, „ლომი და მელია“, „ლომის ერთგულება“, „მელია“, „სამი და“.

ზოგადად, ზღაპრის სტრუქტურა ძალზე საინტერესოა. ის ყოველთვის ასე იწყება: „იყო და არა იყო რა...“-Il était une fois...“ეს ერთგვარი სტილისტური ხერხია, რომ უფრო მეტი ინტერესი გამოწვიოს მკითხველში. ზღაპრის დასასრულს გამოიყენება ასეთი ფორმულები: „ამიერიდან, დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ თავიანთ შვილებთან ერთად...“-Ils vécutent désormais heureux avec leurs enfants...“ ზღაპარი კეთილად მთავრდება. ზღაპრის გმირები დევნიან ბოროტ ძალებს, შეყვარებულები ქორწინდებიან, დაკარგული ბავშვები მშობლებს უბრუნდებიან, ღარიბები მდიდრდებიან, სიკეთე უკვალოდ არ იკარგება. ზღაპარი გულისხმობს მოქმედი გმირის ევოლუციას სხვადასხვა მოვლენების ფონზე. ზღაპრის ძირითადი ელემენტებია პერსონაჟთა ფუნქციები, რომლებიც ზღაპრის შემადგენელი ნაწილებია და მათი რიცხვი შეზღუდულია. ფუნქცია არის პერსონაჟის ქმედება, რომელიც განსაზღვრული ინტრიგის განვითარებაში მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით ხორციელდება. უნდა გავითვალისწინოთ

¹ http://kartuli-zgaprebi.narod.ru/ase_daiwyo.htm, 2015 წლის 29 მაისი.

დროისეულ-სივრცობრივი ჩარჩო, მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და თავად ის სიტუაცია, რომელშიც მთავარი პერსონაჟი იმყოფება. ზღაპრებში მთავარ გმირებს სახელი არა აქვთ. უმეტესად, ზედმეტსახელებით არიან ცნობილი, რომელიც მისი გარეგნული ნიშნის, ტანსაცმლის ან მათი ქმედებიდან გამომდინარეობს.

ამის კარგი მაგალითია „ნაცარქექია“, რომელსაც თავისებური სათაური აქვს. თარგმნისას, დიდი ყურადღება ექცევა სწორედ სათაურს. ქართველებმა, კარგად ვიცით ვინ არის „ნაცარქექია“, ადამიანი, რომელიც მთელი დღე უსაქმოდ ზის და ნაცარს ქექავს. სახელიც ნაცართანაა დაკავშირებული. ფრანგულ ენაში, არსებობს მსგავსი სიტყვა „Cendrillon“ და ისიც სიტყვასათან “Cendres”-ნაცარი არის დაკავშირებული, მაგრამ ფრანგებისათვის „Cendrillon“ სხვა ზღაპართან-„კონკიასთან“ ასოცირდება. აქედან გამომდინარე, ეს სახელწოდება არ გამოდგებოდა ნაცარქექიასათვის. ამიტომაც შევინარჩუნეთ ქართული სიტყვა და ჩავწერეთ ლათინური ასოებით „Natsarkekia“. იმისათვის, რომ ფრანგ მკითხველს გაეგო მისი მნიშვნელობა, სქოლიო გამოვიყენეთ და ავხსენით მისი მნიშვნელობა. თარგმნისას უნდა გავითვალისწინოთ კულტურული ასპექტები. ზღაპარში ნახსენებია სიტყვა „ჩოხა“. ამ შემთხვევაშიც სიტყვა უცვლელად შევინარჩუნეთ და ჩავწერეთ ლათინური ასოებით და სქოლიოში მივუთითეთ, რომ ეს ქართული ეროვნული ტანსაცმელია. კულტურულ ასპექტს განეკუთვნება თავად სიტყვა „დევი“. ფრანგულში არსებობს მსგავსი ტერმინი “Cyclope”, მითოლოგიური არსება, მაგრამ ის უფრო ცხოველს ჰგავს, ვიდრე ქართული ზღაპრის პერსონაჟი „დევი“. ფრანგულში გამოიყენება ასევე ტერმინი „Ogre“-კაციჭამია, რომელიც ფრანგულად ასეა განმარტებული: “Personnage des contes de fées, sorte de monstre, de géant qui passe pour se nourrir de chair humaine, spécialement de celle des enfants“. ჩვენ შევინარჩუნეთ ქართული სიტყვა „Le Dev“, მას არტიკლი დავუმატეთ და სქოლიოში ახსნით შემოვიფარგლეთ: „un être géant méchant qui ressemble à l’homme, cornu et poilu, parfois ayant quelques têtes“-ესაა გიგანტური არსება, ბოროტი, რომელიც ადამიანს ჰგავს, აქვს რქები და ბეწვი, ზოგჯერ რამდენიმე თავიც კი შეიძლება ჰქონდეს.

საინტერესო იყო ასევე ზღაპარში „სამი და“, გალექსილი ფორმის ფრანგულად თარგმნა. ასე მაგალითად: „სტვირო, სტვირო, რასა ტირო? მე დედაშენი ვზავდები, შენ ჩემი შვილი ბრძანდები!“. ფრანგულად მისი თარგმანი კი ასეთია: „Chalumeau, chalumeau, pourquoi tu pleures ? Moi, je suis ta mère, et toi, tu es mon fils“. საინტერესოა ყოველთვის ზღაპრის დასასრული. ზემოხსენებული ზღაპარი ასე მთავრდება: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით გამოძეხით, საიქიოს-ცხოვნებითა“. ჩვეულებრივ ქართული ზღაპარი პირველი ორი წინადადებით მთავრდება, რომლის ეკვივალენტი ფრანგულ ენაში გვაქვს: „ Et le coq chanta, et mon conte finit là !“-რაც ნიშნავს-„მამალმა იყივლა, ჩემი ზღაპარი კი აქ თავდება!“ დანარჩენი ფორმების თარგმნა სავალდებულო არ არის, რადგანაც ის ქართული ზღაპრის კულტურულ თავისებურებას გამოხატავს და ფრანგი მკითხველისათვის გაუგებარი და არაფრისმთქმელი იქნება. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ფრანგულ თარგმანში

ზმნა ძირითადად Passé simple-ში ჩავსვით. ის უფრო მარტივი და ზღაპრისათვის დამახასიათებელი წარსული დამთავრებული დროა. ადვილად აღსაქმელია და მას არავითარი კავშირი არა აქვს აწმყო დროსთან.

მკითხველის სახე

თარგმნილ ტექსტს იგივე ზემოქმედება უნდა ჰქონდეს, რაც ორიგინალს. ისმის კითხვა: რა შემთხვევაში ხდება ეს ზემოქმედება? უნდა გვყავდეს რეალური მკითხველი. რუ-ფუკარის აზრით, მკითხველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი 4 კომპეტენცია. 1) ენობრივი კომპეტენცია; 2) ენციკლოპედიური კომპეტენცია; 3) რიტორიკულ-პრაგმატული კომპეტენცია; 4) ლოგიკური კომპეტენცია, რომელიც კულტურული ხასიათისაა (რუ-ფუკარი, 2008:72-73). ნებისმიერი სხვა მკითხველი, რომელიც ამ კომპეტენციებს არ ფლობს, ვერ შეძლებს ნაწარმოების გაგებას. უნდა ისიც ვთქვათ, რომ მთარგმნელი ამავე დროს მკითხველიც არის, რეალური მკითხველი და რა თქმა უნდა, ყველა ზემოხსენებული კომპეტენციის ფლობა სავალდებულოა მისთვის, რომ მისი თარგმანი ეფექტური იყოს. განასაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლიტერატურულ თარგმანს, რომლის გავრცელების არეალი მნიშვნელოვანია, რადგანაც ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი. იმისათვის, რომ თარგმნო, საკმარისი როდია იცოდე უცხო ენის სიტყვების მნიშვნელობა, უნდა ასევე იცოდე ის თუ, როგორ გადმოსცე ორიგინალის იდენტური შინაარსი. დროთა განმავლობაში, ნაწარმოები განიცდის ერთგვარ ღრმა და მეტაფორულ მუტაციას. როგორც ეს უმბერტო ეკომ დაგვანახა, ტექსტი მხოლოდ მკითხველთან კავშირში არსებობს და ეს კავშირი ერთდროულად ინტელექტუალური და ემოციურია. მთარგმნელი ამ წესს ემორჩილება.

ლიტერატურულ ტექსტში მნიშვნელობა აზრის სპეციფიკური საფუძველია. თარგმანში, ის პრიორიტეტული ინვარიანტია, რომელიც შეესაბამება განსაზღვრების სახით მის სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციას. ის ახდენს ნათარგმნ ტექსტსა და ორიგინალს შორის ეკვივალენტის ცნების დაზუსტებას. მნიშვნელობა აზრის ერთგვარი თვისებაა. აზრი შეძლებისდაგვარად ყალიბდება დისკურსში. მნიშვნელობის პროცესის განახლება ყველა მკითხველისათვის და ყველა მკითხველის მიერ ხდება. რამდენი მკითხველიცაა, იმდენი აზრია. დიკურსს თავისი საიდუმლოს გამხელა მხოლოდ იმათთვის შეუძლია, ვისაც მისი გაშიფვრის უნარი შესწევს. ამიტომ, რომ მთარგმნელს როგორც სანიმუშო მკითხველს, შესაბამისი კომპეტენციები უნდა ჰქონდეს, რომ დისკურსში აზრი აღადგინოს.

ლიტერატურული ენა სასაუბრო ენის ნორმებს არღვევს. ის ქმნის ახალ მნიშვნელობებს და ასევე კონოტაციებს. ფრანგული და ქართული ენები ორი არამონათესავე ენაა, სწორედ ამიტომ, სტრუქტურებს შორის განსხვავება გასათვალისწინებელია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზღაპრის დანიშნულება სწორედ იმაშია, რომ გაართოს, გაანათლოს ადამიანი. ზღაპრის ძირითადი ღირებულება მის მრავალფეროვნებაში, სტილის მოხერხებულობასა და მოვლენათა პიკანტურ კონტრასტშია. მწერალი თავისუფალია. მას შეუძლია რეალური სამყაროდან იდეალურ სამყაროში, სასახლიდან ღარიბულ ქოხში გადაგვიყვანოს. მთავარია, რომ ის საინტერესო და სახალისო იყოს. ქართულ ზღაპარში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ბედუკუდმართი წარსული, სოციალ-პოლიტიკური თუ ეროვნული გასაჭირი, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, სოციალური უთანასწორობისა და შიმშილ-სიღატაკისაგან თავდაღწევაზე ოცნება, ანუ ხალხურ ზღაპრებში ჩვენი ხალხის წარსულია არეკლილი. ყველა ხალხის ზღაპრებში ის თემები, მოტივები და იდეები წინ წამოწეული, რაც მისი შემქმნელი ისტორიისა და ყოფისათვის არის დამახასიათებელი. ქართული ზღაპრების ფრანგულად თარგმნა და თავად მათი გადმოცემის პირობა, საშუალებას გვაძლევს, რომ შევამჩნიოთ ზღაპრებში აღწერილი სამყაროს თავისებურება და ის განსხვავება, რაც ქართულ და ფრანგულ კულტურებს შორის არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cazé, A., (2006): Le lieu du sens dans le texte littéraire, in Le sens en traduction, lettres modernes minard, Caen, pp.193-203.
2. Les contes français : <http://www.espacefrancais.com/le-conte/>
3. Djachy, K. (2013): Les contes géorgiens, in Le Linguiste, Revue Internationale en science du langage, Téhéran, Maison des sciences et cultures françaises en Iran, été , N5, pp. 35-44.
4. Eco, U. (1979): Lector in fabula, le rôle du lecteur, trad.M. Bouzaher, Grasset, Paris.
5. Roux-Faucard, G. (2008): Poétique du récit traduit, lettres modernes minard, Caen.
6. ქართული ზღაპრები: http://kartuli-zgaprebi.narod.ru/ase_daiwyo.htm